KARR1327694112823

№13-7884
27 / იანვარი / 2023 წ.

საქართველოს გენერალური პროკურორის
მოადგილეს ბატონ გიორგი ბადაშვილს

საქართველოს გენერალური პროკურატურის
ადმინისტრაციის უფროსის მაგდა კაპანაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 30 იანვრიდან 1 თებერვლის ჩათვლით საქართველოს გენერალურ პროკურატურას სამუშაო ვიზიტით ეწვევა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის დელეგაცია, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის სისხლის სამართლის სექციის საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ქრისტოფერ სმიტის ხელმძღვანელობით.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ოფიციალური შეხვედრები საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში.

ვიზიტის ფარგლებში, 2023 წლის 30 იანვარს და 1 თებერვალს დელეგაციის წევრებისთვის დაგეგმილია დელეგაციის წევრთა ყავა/ჩაით და სადილით გამასპინძლება, ასევე 2023 წლის 30 იანვარს დღის ნესრიგით გათვალისწინებულია თბილისის ტური ინგლისურენოვან გიდთან ერთად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაავალოთ თქვენდამი დაქვემდებარებულ შესაბამის დეპარტამენტს დელეგაციის წევრთა კვებით მომსახურებასთან და გიდის გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მაგდა კაპანაძე